ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3357007

ნომერი: AR1514887

თარიღი : 16.06.2017

გაცემის თარიღი : 29.06.2017

გაცნობის თარიღი : 07.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 7 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ოქიტაშვილი პ/ნ 01008011914
- თბილისი წყნეთის გზატ. N 5

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1514887 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი #7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ #01.14.07.003.030 და #01.14.07.003.021) თქვენი თანხმობის გარეშე მშენებლობის ნებართვის გაცემას და ითხოვთ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მომართვის შემთხვევაში წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2014 წლის 03 დეკემბრის #1623775 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი (ვაკე), გზატკეცილი წყნეთი #7-ში, შ.პ.ს. ,,არქი ბაგები"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.07.003.021) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2016 წლის 09 სექტემბრის #2824694 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, წყნეთის გზატკეცილი, №7-ში, შპს "ალფა ჰოლდინგ საქართველო"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.14.07.003.030), შეთანხმდა მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. 2017 წლის 03 მაისის #3242009 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2017 წლის 24 იანვრის #3041209 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.09.2016 წლის #2824694 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საზაფხულო ფართობი - 843.3 კვ.მ, საერთო ფართობი - 6611,7 კვ.მ.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი #7-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდების მითითების შემთხვევაში.